ჰაერის ტემპერატურის ცვლილების დინამიკა ქალაქ თბილისში 2004-2024 წლებში

მარიამ მოდრეკელიძე

ელ-ფოსტა: mariam.modrekelidze643@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც იწვევს ბუნებრივი მოვლენების გააქტიურებას და ტემპერატურის სწრაფი ტემპით გაზრდას ან შემცირებას. ჰაერის ტემპერატურა წარმოადგენს ამინდის და კლიმატის ძირითად მახასიათებელს, შესაბამისად მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის არსებობისთვის და ზოგადად ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროში. ტემპერატურული რეჟიმი და მისი ცვალებადობა გავლენას ახდენს ადამიანზე და მთლიანად ეკოსისტემაზე.

ჰაერის ტემპერატურის საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების მერყეობის თავისებურებების გამოვლენას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც განვლილი პერიოდის კლიმატური პირობების შესწავლისათვის, ისე მათი განვითარების ხასიათის დადგენის მიზნით. ნაშრომში ქალაქ თბილისისათვის გარემოს ეროვნულ სააგენტოს საარქივო მასალების მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო ტემპერატურის შესახებ საარქივო მასალებისა და მიმდინარე პერიოდის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულ იქნა ამ პარამეტრის დროში ცვალებადობის თავისებურებები 2004- 2024 წლებში.

2004-2014 და 2014-2024 ათწლეულების მიხედვით, ქალაქ თბილისის ჰაერის ტემპერატურების გადახრათა მონაცემების შედარებამ აჩვენა რომ ეს განსხვავება წლიურად მერყეობს 0.82-0.98^{0}C მდე.საშუალო ტემპერატურის წლიური მატება არის 0.85^{0}C; საშ. მაქსიმალური 0.98^{0}C; საშ. მინიმალური 0.82^{0}C. ყველაზე დაბალი გადახრის მაჩვენებელი ფიქსირდება ოქტომბერში, ხოლო ყველაზე მაღალი - თებერვლის თვეში.